ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **№24/05/2023-2**

ქ.თბილისი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“(ს/კ 202442730), წარმოდგენილი - დირექტორის ეთერ კიღურაძის სახით (შემდგომში „მყიდველი“)და მეორე მხრივ, შპს „კასა ჯი“(ს/კ405066244) წარმოდგენილი დირექტორის თამაზ ტაბატაძის სახით (შემდგომში „გამყიდველი“), ვთანხმდებით შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 საკონტროლო სალარო აპარატი (შემდგომში სსა) DATECS DP-05 , 2 ცალი.

#	სსა სერიული ნომერი	SAM მოდულის ნომერი	ლუქის ნომერი
1	GEM000003886	23026992	KS1
2	GEM000003546	23750359	KS2

1.2 გამყიდველი იღებს ვალდებულებას გაუწიოს მყიდველის საკუთრებაში არსებულ საკონტროლო სალარო აპარატს (შემდგომში სსა) DATECS DP-05-ს სარეგისტრაციო,საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება,ასევე შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის უზრუნველყოფა,ხოლო მყიდველი თავის მხრივ იღებს ვალდებულებას ამ მუხლში მითითებული მომსახურების მიზნით,გადაუხადოს მყიდველს ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი

1.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი CPV 48200000

2.მომსახურების გაწევის წესი და პირობები

2.1. სსა-ის საგარანტიო პერიოდი იწყება მისი პირველადი რეგისტრაციის მომენტიდან და სრულდება 1 კალენდარული წლის ვადაში.

2.2. საგარანტიო მომსახურება გულისხმობს გამყიდველის მხრიდან სსა-ის ტექნიკური გაუმართაობის აღმოფხვრას იმ შემთხვევაში,თუ მყიდველი მთელი ამ ხნის განმავლობაში თითოეულ საანგარიშო თვეზე გამყიდველს გადაუხდის მომსახურების სააბონენტო გადასახადს.

2.3. გამყიდველის მიერ მყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევა ხორციელდება გამყიდველის შესაბამის ფილიალში.სღნიშნული მომსახურების მისაღებად მყიდველი ვალდებულია

დაზიანებული სსა მიაწოდოს გამყიდველს შწსაბამის ფილიალში,რომელიც თავის მხრივ ვალდებულია განახორციელოს ტექნიკური და საგარნტიო მომსახურება.

2.4.იმშემთხვევაში,თუსსა-ისდაზიანებაგამოწვეულიამყიდველისმხრიდანმომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესების არასწორი გამოყენების, ძაბვის ცვალებადობის,ფორს მაჟორული შემთხვევის შედეგად,მყიდველი კარგავს გამყიდველისგან საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების მიღების მოთხოვნის უფლებას.

2.5. ამ მუხლის 2.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში,გამყიდველი უფლებამოსილია განაახლოს სსა საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება, მხოლოდ მისი აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ,რომლის ღირებულებაც განისაზღვრება ცალკე
შეთანხმებით.

3. გამყიდველის უფლებამოსილება

3.1. გამყიდველი უფლებამოსილია დროებით,ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეუჩეროს ან შეუწყვიტოს შემსყიდველს სარეგისტრაციო,საგარანტიო,ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების უზრუნველყოფა,იმ შემთხვევაში თუ მყიდველის მიერ დროულად და სრულად არ იქნება გადახდილი სააბონენტო გადასახადი.

4. სააბონენტო გადასახადი და ანგარიშწორების წესი

4.1 მომსახურების სააბონენტო გადასახადი თვეში შეადგენს 10(ათი)ლარს,დღგ-ს ჩათვლით ერთ სალარო აპარატზე.

4.2 მყიდველის მიერ მომსახურების სააბონენტო გადასახადის გადახდა ხორციელდება განყიდველის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე 12 (თორმეტი) თვის წინასწარი ჩარიცხვისგზით.

4.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 240 (ორასორმოცი) ლარს.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა,მისი გაგრძელების და შეწყვეტის პირობები

5.1ხელშეკრულება ძალაში შედის 2023 წლის 1 ივნისიდან.

5.2ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 30 ივლისი.

6. დავის გადაწყვეტისწესი

6.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს შესაბამისი იურისდიქციისსასამართლო.

7. დასკვნითიდებულებები

7.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

„მყიდველი“

ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 202442730
იურიდ. მის: ქ. თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ113ა.
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში

ა/ა 743147499; ბანკისკოდი: TRESGE22

T.2203535

დირექტორი

ეთერ კიღურაძე

„გამყიდველი“

შპს „კასა ჯი“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 405066244
იურიდ. მის: თბილისი, წერეთლის გამზ. №77
სს „თიბისი ბანკი“

ა/აGE71TB7725136080100003 ბანკისკოდი TBCBGE22

T.242 45 45

დირექტორი

თამაზ ტაბატაძე

LTD KASA GE

Digitally signed by LTD KASA GE
Date: 2023.05.24 15:55:29 +04'00'